№ 124. 29 ივნისი, ოთხშაბათი. 1866—1883 29 ივნისი, ოთხშაბათი. № 124.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან-ბატონის სახლში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

თთელის წლისა. . .	9 მან.	სამის თვისა. . .	3 მან.
ექვსის თვისა . . .	5 მან.	ერთის თვისა. . .	1 მან.

დროება

გამოდის ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადებანი მიიღებენ ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ბიბლიოთეკა

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ

„დროებაზედ"

ნახევარ წლით პირველის ივლისიდამ წლის დამლევამდე. ფასი ხუთი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისათვის ოთხი მანათი.

ივნისის პირველის რიცხვების ნომრები რედაქციაში აღარ არის.

«დროების» ნომრები თითო შაურად იყიდება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში,

ბათუმში, ფეიქროვის თამბაქოს მაღაზიაში,

გორში, საზოგადოების დეპოში, აღალო თუთაევთან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

თბილისი, 28 ივნისს.

თბილისი ძველის საქართველოს სატახტო ქალაქი იყო, ამასთანავე თვალი იყო მთელის კავკასიისა. ეს მნიშვნელობა ჩვენის ქალაქისა არა თუ არ შემცირებულა ამ ოთხმოცის წლის განმავლობაში, არამედ უფრო გადიდდა. ორი მიზეზი აღმოჩნდა ამ მოვლენისა: პირველი ის, რომ ამ რამოდენიმე ათის წლის განმავლობაში ევროპის და აზიის შუა გავრცელდა ვაჭრობა და მეორე ის, რომ თბილისი ადმინისტრატიული ცენტრი იყო; ამ ვაჭრობაში ჩვენმა ქალაქმა თავის გეოგრაფიულის მდებარეობის ძალით საშუალი ალაგი დაიჭირა. აქ მოეშურებოდა სპარსეთიდგან და ამის მახლობელ ადგილებიდგან საქონელი; აგრეთვე ევროპის, თუ რუსეთის საქონელსაც, რომელიც შუაგულ აზიისათვის და სპარსეთისათვის იყო დანიშნული, თბილისში უნდა გაევლო. დღემდის ტრანზიტი იყო, ესე იგი უცხოეთელი საქონელი სხვა აზიის ქვეყნებისათვის დანიშნული, უბაჟოთ შემოჰქონდათ ჩვენში და გაჰქონდათ ჩვენის სამძღვრებიდგან. ეს საქონელი თბილისს არ ასცილდებოდა.

ამ გვარად წამოსული საქონელი უეჭველად თბილისში უნდა გაჩერებულიყო, რადგან რკინის გზა არ იყო ჯერ გამართული. ეხლა ტრანზიტი მოისპო, ამის გამო საზოგადოდ კავკასიის აქეთა მხარეს დიდი ზარალი მიეცემა; ტრანზიტიც რომ დარჩენილიყო, განსაკუთრებით თბილისს მაინც მოაკლდებოდა ის სიმდიდრე და მოგება, რომელიც ჰქონდა მას დღემდის. საქმე ის არის, რომ შავის ზღვიდამ წამოსული საქონელი, რომელიც გარეშე ქვეყნებისათვის არის დანიშნული, თბილისს მაინც ასცილდებოდა, რადგან რკინის გზაა გამართული ბათომიდგან პირდაპირ ბაქომდე. ასე რომ, თუნდ ტრანზიტი არ მოესპოთ, უწინდელ სარგებლობას მაინც მოკლებული იქნებოდა ჩვენი ქალაქი, რომლის მნიშვნელობა ვაჭრობის და აღებ-მიცემობის მხრით კლებულობს და კიცევ უფრო შემცირდება.

ათასის მაგალითით დამტკიცებულია, რომ ხოლოდ ის ქალაქები მდიდრდებიან, საცა რკინის გზა იწყობა და თაედება, მაგალითად როგორც პეტერბურღი, ოდესა, როსტოვი, ჩვენს ქვეყანაში ვლადიკავკაზი, და ამ ბოლოს დროს ბაქო და ბათუმი. სხვა ქალაქების ბედ-იღბალი მხოლოდ ადგილობრივს წარმოებაზეა დამყარებული, ესე იგი მეურნეობაზე, სხვა-და-სხვა გვარ ქარხანებზე და ფაბრიკებზე და აგრეთვე ქალაქის გარს შემორტყმულ მცხოვრებლების სიმრავლეზე.

მაშასადამე ყოველს ქალაქს ან უცხოეთელთ ვაჭრობა უნდა ასაზრდოებდეს, ან ვაჭრობა შინაგანი, ადგილობრივ ნაწარმოებზე დამოკიდებული, მაგალითად როგორც მოსკოვს გარს შემორტყმული აქვს ისეთი ადგილები, საცა თითქმის ყოველ ვგვარი წარმოება გავრცელებულია: აბრეშუმისა, თითონ მოსკოვში და ძოლომნაში და სხვ., რკინისა, ფოლადისა და სპილენძისა—ტულაში, ბამბისა (ჩითები, მიტკლები და სხვა) შუიაში და ივანოვო-ვოზნესენკსში. (შუიას რუსის მანჩესტერს უწოდებენ.) ტილოსი იაროსლავის და ძოსტრომის გუბერნიებში, სამუგვისა—ტვერის არე-მარეებზე და სხვა და სხვა.

ამ მხრით რომ გავიხილოთ თბილისი, რას წარმოგვიდგენს? თბილისს არ აკრავს ისეთი ადგილები, საცა ჯერ-ჯერობით რაიმე ქარხნული ან ფაბრიკული წარმოება იყოს გავრცელებული; მაშასადამე თბილისის მომავალი ძლიერ საეჭვოა. დღემდის აქ დიდი ფული ტრიალებდა, დღეიდგან კი ეს ფული ბაქოში და ბათუმში გადავა, რადგან იქ უფრო ასარგებლებენ.

მაშასადამე ჩვენი ქალაქი მხოლოდ ადმინისტრატიულ ცენტრად რჩება—და ეს მნიშვნელობა ბევრს სარგებლობას ვერ აღმოუჩენს. სხვათა შორის ეს საზოგადო ეკონომიური მიზეზია იმ მოვლენისა, რომლის გამო ჩვენს ქალაქში შენობებს ფასი დაუვარდათ, ფული თან-და-თან ძვირდება და ვაჭრობა დღითი დღე მცირდება.

იმ დროამდე თბილისი ზურგს ვერ გაიმაგრებს, ვიდრე მეურნეობა, ქარხნული და ფაბრიკული წარმოება არ გავრცელდება ჩვენში, ესე იგი თბილისის მახლობლად,—და ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ თბილისის მცხოვრებნი მარტო აღებ-მიცემურს ვაჭრობებსა და ოფიციალურ ადგილებს ეძებენ.

«დროების» ფელეტონი 29 ივნისი.

მგზავრის შენიშვნები კავკასიაზედ გლებ უსპენსკისა.

ამ ოთხის თვის წინად შავის ზღვის ზვირთებმა კავკასიის ნაპირებთან მოახეთქეს და ბათუმთან გამოაგდეს განთქმულის სუეზორინის გაზეთის არანაკლებ განთქმული კორესპონდენტი, მოლჩანოვი რომელსაც შეუძლიან სადმე ქინეშმაში იჯდეს და ერთსა და იმავე დროს კორესპონდენციები აცხოს ასტრახანიდამ ლონდონიდამ, პარიჟიდამ და ივანოვო-ვოზნესენსკიდამ; ებაასოს ბოლგარიის მინისტრებს და სტამბოლელს ფაშებს; ბისმარკსა და ბლადსტონს. ბოროტი სულივით, რომელსაც რაიმე მადლი და ჯვარი ძრისტესი ახლოს არ უშვებს, მოლჩანოვმაც ფეხი ვერ შემოდგა ჩვენს ქვეყანაში; იმან მხოლოდ შავის ზღვის ნაპირიდამ გადააელო თვალი «ამ მშვენიერს კუთხეს ქვეყნისას» და შურით ანთებულ გულიდამ ამოსქდა წყევლა-კრულვა და ლანძღვა-გინება მათი, ვინც დაჰპატრონებია ამ ტურფა ქვეყანას...

მოლჩანოვმა ბ. ბერსიევით აქაური მცხოვრებლები მთლად ქურდების და ყაჩაღების გროვად გამოაცხადა, რომელთაც ხელი უნდა წამოესვას, სადმე უდაბურ კუნძულზედ გადაირეკოს და მათი ალაგები დაიცალოს იაროსლაველ «მუჟიკისათვის», რომელიც ღირსია ამ ქვეყნის პატრონობისა. მოლჩანოვის სურვილი ამაზედ კიდევ უფრო შორს მიდიოდა: ეს ზარმაცი აფხაზები და სხვ., ბრძანებდა ის, სულ უნდა გამორეკონ და შავის ზღვის პირებზედ მოუმზადონ სოფლები და ქალაქები, რომ იაროსლაველი «მუჟიკი» მობრძანდება თუ არა, ზრუნვა აღარაფრისა ჰქონდეს და პირ-და-პირ გაშლილს სუფრაზედ მოიკეცოსო.

კავკასიაზედვე ლაპარაკობს მეორე, ჩამომავლობით, ენით, სარწმუნოებით და მოდგმით იმავე მოლჩანოვის ჯიშისა, მაგრამ სინიდისით, ჭკუით და სამართლიანობით სრულიად მისი წინააღმდეგი. ამიტომ არის ნათქვამი: ერთის ხისა ჯვარიც გამოვა და ნიჩაბიც. მე მოგახსენებთ ბ. ბლებ უსპენსკიზედ, რომელსაც რუსულ ლიტერატურაში შესამჩნევი ალაგი უჭირავს, როგორც ნიჭით, ისე კეთილსინიდისიერ და სამართლიანის შეხედულობით ყოველ იმ საგნებზედ, რასაც კი მისი მადლიანი კალამი შეეხება. ბ. ბლებ უსპენსკის შარშან ზამთარს კურიერივით გაურბენია ჩვენს ქვეყანაზედ: შემოსულა დარიელის კარით, ყოფილა თბილისში, ბაქოში და ბათუმში. თუმცა დრო არა ჰქონია დაწვრილებით გაეცნო ჩვენი მხარე, შეეტყო მისი ავი და კარგი, მაგრამ მაინც გამჭრიახის თვალით შეუმჩნევია, რომ ახალი ცივილიზაცია, რომელმაც გადმოლახა კავკასიის ქედი თავის რკინის გზებით, ტელეგრაფებით და სხ. კარგს არას უქადის საბოლოოდ ქვეყნის ამ პატარა კუთხესაო. რკინის გზებს, როგორც თაფლს ფუტკარი, თან მოჰყვნენ იმისთანა ულაპიები, როგორც ნობელი და პალამკოესკი; ერთს მათგანს გაუბოტია შავის ზღვის ნაპირებზედ, მეორეს ქასპიისაზედ და შუაზედ გაუყვიათ ეს მდიდარი მხარე.

ჩვენ წინ გვიძევს ეხლა დღეს მოსული მე-6 № «Отечественныя Записки»-ებისა, რომელშიაც დაბეჭდილია ბ. ბლებ უსპენსკის «მგზავრის შენიშვნების» გაგრძელება. ეს შენიშვნები, ნამეტნავად რომელზედაც მე მოგახსენებთ, მართლა მეტად გონივრული და სამართლიანი შენიშვნებია ჩვენის ქვეყნის ეხლანდელს მდგომარეობაზედ და საჭიროდ დავინახეთ ჩვენი მკითხველებიც გავაცნოთ. სხვათა შორის, აი რას ამბობს პატივცემული ავტორი ერთს ალაგას: «ამ ქვეყნის სრულიად განსხვავებულმა გარეგნობამ და თავისებურობამ ისეთი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზედ, ისე შებოჭა მთლად ჩემი ყურადღება, რომ ველარ ვამეგო: რად ემდურებიან ზოგიერთი განათლებული («цивилизованные») ვაჭ-ბატონები აზიურს თბილისს და საზოგადოდ კავკასიას; რისთვის ამბობენ ხოლმე: «ჩვენ არ შეგვიძლიან აქაურულად ცხოვრება.» მე კი სწორედ ის მომწონდა, რასაც თავის ფერი ედვა, რაც აზიური იყო. აგერ, მაგალითებრ, განათლებული ქართველი, სახაზინო პალატის ჩინოვნიკის ქუდით, რომელსაც ბალაეინის პროსპექტზედ ეხედავთ,—ეს მე არაფრად მეჭაშნიკება. უფრო სამჯობინო იქნებოდა, რომ ის ყოფილიყო უბრალო ქართველი და არა ქართველი ქაღალდებით სავსე აბგით იღლიაში... აგერ ის მშვენიერი ვაჭ-კაცი მეგრელიც მე ძალიან მებრალება! წარმოიდგინეთ ეს მშვენიერის შეხედუ-

ბას არ გამოუდგებიან და მიჰყოფენ ხელს იმ წარმოებას, რომელზედაც ზევით ვილაპარაკეთ და რომელიც უნდა შეადგენდეს უმთავრესს ძარღვს ყოველის მორდილის ქალაქის ცხოვრებისას.

ახალი ამბები.

ᲖᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ სხდომაზედ ქალაქის რჩევას გადაუწყვეტია, რომ საობლო სასამართლოში რჩევის წარმომადგენელად იყოს ამ სასამართლოს სეკრეტარი, რომელიც რჩევისაგან იქმნება ამორჩეული და ზედამხედველობაც ექმნება მთელს საობლო სასამართლოზედ.

ᲐᲛᲐᲕᲔ სხდომაზედ გარდაუწყვეტიათ, რომ დაენიშნოთ 15 ენკენისთვე უკანასკნელ ვადად იმ პირთ, რომელნიც ისურვებენ ᲕᲔᲠᲘᲡ ხიდის რკინის მასალის დამზადებას. ᲘᲮᲔᲓᲘ აქვთ რომ ეს ხიდი გზაფხულამდე მზად იქნება.

ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ საზოგადოება აცხადებს „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲨᲘ“, რომ სამეურნეო მაშინების გასინჯვა მოხდება 5-ს ივლისს, მომავალ სამშაბათს, მუშტაიდს იქით, შორეულ კოლონიასთან. ᲩᲕᲔᲜ გვაკვირვებს, რომ სამეურნეო საზოგადოება ამ ამბავს პირ-და-პირ ჩვენც არ გვატყობინებს. მარტო ჩინოვნიკები ხომ არ წაელენ გუთნების სანახავად; იქნება იმისთანებმაც მოინდომონ იმათ გასინჯვა, რომელთაც მბოლოდ ქართული კითხვა იციან.

ᲡᲢᲐᲕᲠᲝᲞᲝᲚᲘᲡ გუბერნიაში ზოგიერთა ალაგას კალია გაჩენილა. («Новости»).

ᲘᲒᲘᲕᲔ გაზეთი ვვაცნობებს, რომ თერგის მხარის უფროსს ლენერალს სვისტუნოვს გაუცვნია ის წესები, რა წესებითაც არის მომართული მინერალის წყლებით სარგებლობა სამზღვარს იქით და პროექტიც წარუდგენია, რომ კავკასიის წყლების საქმეც ამის შესაფერად იყოს მოწყობილი.

მთებში დიდი გზა ძალიან დაუზიანებია ჩამოწოლილ კლდეებს და ადიდებულ თერგს, ასე რომ ბევრგან ეტლები ძველს გზაზედ უხვევენ თურმე და წვალებით მიდიან დანიშნულ ალაგამდე.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲐᲜᲙᲘ აცხადებს რუსულ გაზეთებში, რომ ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევის გამო მოჭრილი ვერცხლის მანეთები იყიდება ამ ბანკში და ეხლანდელს კურსზედ თითო ვერცხლის მანათი ღირს 1 მ. და 35 კ.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო!

თქვენი უპატივცემულესი გაზეთის № 121-ში მოუვანილმა ბანკის საქმეზედ მსჯელობამ ერთი საოცარი შემთხვევა წამომიყენა თვალწინ, საკუთრად ჩემს ოჯახში მომხდარი. მოურავი გვუკვდა, სამაგალითო რამ პატიოსნებითა და ერთგულებით აღსავსე. ოჯახში არავინ იყო ისეთი, რომ იმის კეთილ-სინიდისიანობაზედ ეჭვი ჰქონიყო რამე. დმერთმა ხომ იცის, რომ მეც სულით და გულით ვიყავ დანდობილი; მაგრამ აკი გამიწყრა ერთხელ ღმერთი და ვიკითხე, ნეტავი ვიცოდე, რა გვაქვს შემოსავალი და რა გაუსარჯება მეთქი? შეჭსტა და დაეცა ჩემი სვიმონა, როგორ თუ ანგარიშსა მთხოვენო; მაშ მე აღარ მენდობიანო? თუ არ მენდობიან, რაღა დასადგომი კარ მე აქაო? კისაო? მეო? მე უნდა მეკითხებოდეს ანგარიში. ამდენი ხანია რომ ამ ოჯახს შევსწირე ჩემი სიყმეო?.. ერთის სიტყვით ისეთი ყაყანი და აღიარქოთი შესდგა ჩემს ოჯახში, რომ კინცა კინ ვიყავით, თითქმის მუსლ-მოდრეკით დავუწყეთ კედრება: ნუ, ჩვენო სვიმონა! როგორღაც წამოგვცდა, თორემ შენ როგორ მოგთხოვდით ანგარიშსა, ჩვენს სვიმონასა, ჩვენთვის თავდადებულსა, ჩვენს გამომკვებავსა?!! ბოლოს დაშოშმინდა როგორც იყო ჩვენი სვიმონა და ძღივს-ძღივობით დაწყნარდა ჩვენი ასე ახირებულად ატეხილი სოდომ-გომორატა.

— მაინც, შეიტყეთ, თუ კერა, რის პატრონი იყავითო, მკითხავთ თქვენა, ჩემო წამკითხველო.

— თქვენს მტერს ნურა შეუტყვია რა, რომ ჩვენ კერა შეკვიტყეთ რა და ღმერთს რომ ისე არ ენებებინა, რომ რამდენსამე წელიწადს უკან ჩვენი ოჯოლად პატიოსანი და ოჯოლად შეუგინებელი სვიმონა არ გადაბრუნებულიყო და მამაპაპათ არ გამოსდგომიყო, საზრდოდა შეგვრჩებოდა რამე, თუ არა, არვინ იცის.

საქართველოს თავად-აზნაურობა რომ უკიდურს განწირულებაში კიყავით და რა ქისათვის გვესეთქებინა თავი რომ აღარ კიცოდით, ერთს თვიქრს წავაწყდით, მოდი და ჩვენი ბანკი გავსხნათ როგორმე, რომ გაჭირვებაში ხელი მოკიბოთ ხოლმეო!

ეს თუ გვიშველის — რასმ, თორემ სხვა სასხარი აღარა არის რა ჩვენთვისაო, ვსთქვით, და როგორც იყო, როგორც იყო, ათასხარი ნაიდავჯობითა და კაი კაგლასით, გავხსენით ჩვენი ბანკი, ისევ ჩვენთვისა და იმ ჩვენი მეზობლებისათვის, რომელნიც გარს გვასვენიან.

ჩვენ მაინც ასე გვეგონა.

დავინთეთ ტაცხლი, რაღა?

დავინთეთ, მაგრამ, ხელი მოვითბოთ ხოლმეო კი არა, იმ თავითვე თითქო ისე გამოდიოდა, რომ ხელს სხვანი ითბობდნენ და ჩვენ კი უკან-უკანა ვრჩებოდით, პატრონები.

ეს რაღა ღვთის რისხვაა, კამბობდით. სოფლის მაღაზიისა არ იყოს, ჩვენ მოგვანით, ჩვენ დავთესეთ, ჩვენ დავფარცხეთ; სხვანი კი მკიან და მიირთმევენო?

— ერთი შეგვატყობინეთ, თქვენი სუფლის წირიმე, ჩვენო მეგელეებო, ჩვენო სასიქადულო მოურავებო, რათ გვემარეთება ესა?

— ბატონებო, ახლა ისინი გვეუბნებიან! დიდათ გვაკვირვებს ეგ თქვენი კითხვაო. აგერ ამდენი ხანია ყოველ-წლიგ თავთავისს დროზედ შემოგვაქვს ანგარიში, თავთავისს დროზედ ჭმტკიცდება, და ახლა რომ გვკითხავთ, რა საქციელიაო.

— სად შეგაქვთ და კინ ამტკიცებსო? დაიდრიალეს ბატონებმა.

— სადა და ზედამხედავს კომიტეტში; კინა და ზედამხედავი კომიტეტიო!

— ახლა თვითონ ჩვენ გვინდა, პატრონებსა, ჩვენ გვაშინჯოთ და თუ დასამტკიცებელია, დავამტკიცოთო..

— თქვენ რა ნება გაქვთო, ბძანეს მოურავებმა.

ლობის ვაჟ-კაცი ნაციონალურს ტანისამოსში ლამაზად გამოწყობილი, დამდგარა რკინის გზის სტანციის ბუფეტში და ყველსა სთლის «ბუტერბროდებისთვის», მებრალება! წარმოიდგინეთ, ამ მშვენიერს ვაჟ-კაცს ვიღაც მოსკოველი ვაჭრის მსგავსი, რომელიც თავ-ფეხიმნად აშენებულია ჭილობის ნარღვევიდამ, ბატონურად უყვირის: «чилаекъ! бутенброту дай!» (კაცო, მომიტა. ბუტერბროდი). ᲞᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ ᲡᲐᲬᲧᲔᲜᲘᲐ. ᲝᲮ, ეს ცივილიზაცია თავის რკინის გზებით! ᲧᲕᲔᲚᲐᲡ თითქოს ულელში გამოქნილს ამსგავსებს, შალაშინივითა სწმენდს ნაციონალურს, განსხვავებულს თვისებებს და ყველას ერთმანეთს ამსგავსებს. ᲫᲕᲔᲚ დროში, მგონია, ამისთანა კავკასიელს ვაჟ-კაცს ზარბაზნითაც ვერ დაიმორჩილებდი ამისთანა ჭილობის ტომარის ფარეშად გამხდარიყო და ეხლა კი ცივილიზაციამ თავისი რკინის გზებით ეს შეიძლო. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ მოუგდია ეს ჭილობის ნარღვევისაგან შემდგარი ცხოველი, რომელიც დატანტალებს და ჰსუნავს სად უფრო სჯობია ხელი ჩავყო და გავსვლიპოვო. წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როდესაც მთაში, მგონია მლეთში, ძველის გმირულის კოშკების და ციხეების ნანგრევების შუა ერთს დუქანზედ შემდეგი წავიკითხე: «Овощная и мелочная торговля съ продажею чаю и сахару купца Бѣлохрюкова». ᲔᲡ კიდევ არაფერი. ᲐᲒᲔᲠ მცხეთაც, საქართველოს ძველი ქალაქი. აქ ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡ წმინდა წყალი ერევა მტკვარს (გახსოვთ ᲚᲔᲠᲛᲝᲜᲢᲝᲕᲘᲡᲐ: «სადაც ᲐᲠᲐᲒᲕᲘ და მტკვარი დებივით ერთმანეთს გადაჰხვევიან») და ვიღაც მოსულს ვაჭარს იჯარით აუღია თევზის საჭერი ალაგი.»

შემდეგ ᲑᲚᲔᲑ ᲣᲡᲞᲔᲜᲡᲙᲘ ამბობს, რომ გადავსცდი თუ არა ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ქედს, ყველგან ნობელის და ᲞᲐᲚᲐᲨᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ სახელი ისმოდა, თითქმის ხეები და ქვებიც კი მათ სახელს იმეორებდენო. «ᲓᲐᲒᲕᲮᲝᲪᲐᲕᲡ, სამარეს გვითხრის» და სხვ. უმატებდენო მათ სახელებს. როგორც მივხვდიო, განაგრძობს ავტორი, ეს შიში წარმოსდგება იმ „თავისუფალის კონკურენციის გამო“, რომელმაც ნობელს და ᲞᲐᲚᲘᲨᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ამ ქვეყნის მთელი სიმდიდრე ხელში ჩაუგდოვო, და რომელსაც, დავუმატებთ ჩვენის მხრით, შარშან «Новое Время»-ს პუბლიცისტები ისეთს ქება-დიდებას უკმევდენ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡ მეცნიერს, რომ ჰკითხო რა არის ეს «თავისუფალი კონკურენცია», იმდენს გეუბედება, რომ სულ დავთრებს დაგიბნევს და ბოლოს მაინც თავში დაგრჩება რაღაც დომხალივით არეული. ᲑᲚᲔᲑ ᲣᲡᲞᲔᲜᲡᲙᲘ მეტად ცხადის მაგალითით გვიხსნის რა ხალხია ეს თავისუფალი კონკურენცია. ᲕᲗᲥᲕᲐᲗ ერთს კაცს შეძლება იმდენი აქვს, რომ შეუძლიან იყიდოს კარგი კეტი, მეორეს კი ჩხირის შოვნა ძლივს შეუძლიან. ᲙᲔᲢᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲪᲘ გამოდის და ჩხირით შეიარაღებულს ეუბნება: გამოდი ვიჩხუბოთო, ნობელმა კეტი აიღო, რომელსაც თორმეტის მილიონის სიმძიმე აქვს, მივიდა ᲑᲐᲥᲝᲨᲘ და საჩხუბრად გამოითხოვა იქაურები, რომელთაც კაპეიკინი მუშტუკები ეჭირათ ხელში. ᲐᲛ ნობელის წყალობით ძველი ქარხნები იკეტებიან, ასობით მუშა ხალხი მშიერი რჩება, ნავთისთვის მომზადებული გემები ცარიელები ხირიან ზღვის პირად და ნავთი შადრევანივით ამოდის და ტიტველა ალაგებსა რწყავს. «ᲛᲐᲒᲠᲐᲛ სამართლიანად რომ დაეუკვირდეთ, თითონ ბაქოელებიც არიან თავიანთ უბედურების მიზეზნი. ᲐᲛᲝᲓᲔᲜᲐ აუარებელი სიმდიდრე ხელში ჰქონდათ და იმდენი ჭკუა ვერ იხმარეს, რომ ნავთის გასასაღებელი ალაგები მოეძებნათ. ᲐᲛᲘᲡ შემდეგ, კიდევ ამბობენ, რომ სომხებს ვაჭრობის ნიჭი აქვთო»!

ᲐᲠᲪ კი ᲚᲔᲜᲥᲝᲠᲐᲜᲡ გააბედნიერებენ იქ მისული ნობელები ᲣᲡᲞᲔᲜᲡᲙᲘᲡ აზრით ᲚᲔᲜᲥᲝᲠᲘᲜᲘᲡ ვასაოცარი, ძვირფასი ხეების აყრილი ტყეები ისეთს სიმდიდრეს წარმოგვიდგენენ, რომ ᲑᲐᲥᲝᲡ ნავთს არ დაუვარდებიანო, მაგრამ ამ ტყეებსაც თავისი კალია გასჩენია და ულმერთოდ აჩანაგებს. ᲗᲘᲗᲝ გახერხილი ფიცარი ამ ძვირფასი ხეებისაა ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲨᲘ, ან მოსკოვში ძვირფასადა ღირს, მაგრამ რისთვის შეიწუხონ თავი მათის ხერხვით და ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲨᲘ გზავნით უცხოეთიდამ შემოსეულმა ნობელებმა, როდესაც უიმისოდაც შეიძლება ნიჩბით ოქროს ხვეტა. ᲘᲯᲔᲠᲔᲜ მუშად იქაურ სპარსელებს დღეში ექვშაურად, მიაყენებენ ცულებით და შეშად აჩეხინებენ ამ მშვენიერს ხეებს. ᲖᲝ�გᲘᲔᲠᲗ ხიდამ თითქმის შვიდი საჟენი შეშა გამოდის. ᲡᲐᲛᲘ ვერსი რომ გაატარონ, საჟენს თვრამეტ მანეთადა ჰყიდიან და იმისთანა ყლაპიები, რომელთაც არამც თუ არაფერი შრომა, ამ ბუნებისაგან შექმნილ მშვენიერების თვალის აწვდენაც არ შეუძლიანთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ თუ რა ნება გვაქვს? მაშ ჩვენ პატრონები არა ვჭეროდეთ, მიაქუსა ყრილობამ.

— ძლივს არ მიმსვლარხართ! პატრონი კომიტეტის თავსმჯდომარე და წევრნი არიან; ისინი გეიმინჯვენ ანგარიშსა და ისინი გეიმტკიცებენ!

— ბიჭოს!!! ისინი კიდასი დაუენებულნი არიან?

— თქვენი, ბატონებო, თქვენი! მაგრამ....

— რის მაგრამ, რა მაგრამ! კომიტეტის მეინახეებო! თქვენა გთხოვთ წარმოგვიდგინოთ ანგარიში, თორემ .. მამა არ წამიწუდება და დედა არ მომიკვდება, თქვენს მზესა ვფიცავთ და თქვენი ტოლშვილის სიცოცხლესა, სარეკიზიო კომისიას დავნიშნავთ ასლავე.

— სარეკიზიო კომისიასაო, წამოიწყო თავსმჯდომარემ. ჩვენი გაბეზრებაა გნებავთ, თუ რა არის ეგაო!

— გაბეზრება კი არა, ანგარიში გვინდა შეკიტუოთ, ანგარიში, ჩვენი საკუთრებისა.

გვინდა, არ გვინდა; გვინდა არ გვინდა!!.. ესდა ისმოდა ამ ყრილობაში, ამ აღაღადებულს ორატორიაში.

ამასობაში გამგეობისა და ზედამხედველობის მეინახეებმა ერთმანეთში მოჩურჩულება მოასწრეს და წამოდგნენ ფეხზედ. ფეხზედ რომ წამოდგნენ, მდაღადებელთ თითქო ზეთი გადაასხესო, დასცხრენ და თავსმჯდომარემ მოასხენა ყრილობას:--ჩვენ სხვა ღონე აღარა გვრჩება რა, უნდა თქვენს სამსახურს თავი დავანებოთ და გეთხოვებით ეს არის.— ახლა ზეთი კი არა, ითქო ტყვია გადასხესო, ისე გაჭრა ყოველი სმა და ყოველი მოძრაობა.

მეორეს დღეს იმავე თავსმჯდომარემ გამოუცხადა ყრილობას: იყავნ ნება თქვენი. თვითონ ჩვენ დავნიშნავთ კომისიასა და რაც შეუდგება, თავის დროზედ მოგახსენებთო.

— ცხონებულო ჩემო სვიმონავ! რა იქნებოდა შენც აგრე გეთქვა: იყავნ ნება თქვენი, თვითონ მე მოვითხოვ ჩემგან ანგარიშსა, ოდონდ კი თქვენ ნუ ასტეხთ სოდომსა და გომორას მაგ თქვენს საპატიო ოჯახშიო.

— ასე იყო თუ არა, თქვენ და თქვენი ნამუსი! თქვენა გეითხავთ, ბატონო «დროების» რედაქტორო; და იმიტომ გეითხავთ თქვენა, რომ თქვენია ჩემი «კავკაზში» დაბეჭდილის პასუხის დიალ მახვილი პასუხი და თქვენა ბძანდებით ბანკის გამგეობის მეინახეთაგანი.

ამასთან თქვენც ეს მოიხსენიეთ ჩემგან.

1. მე არა თუ შარშან პეტერბურღიდამ,—წლეულ ქეიშხეთიდამაც კაცნობა დამეითხეულებს ტელეგრამმით, რომ თუ საზოგადოება ჩემთვის კენჭის ყრას ინებებს, უარს არ ვიტყვი მეთქი. მაშინ ბანკის გამგეობის თავსმჯდომარეზედ იყო სიტყვა ჩამოგდებული,—ილია ჭავჭავაძეს აღარა ჭნებავს დარჩესო,—და წლეულ ზედამხედველი კომიტეტისა და სარეკიზიო კომმისიის თავსმჯდომარეზედ,—კოსტანტინე მამაცაშვილი ავათ არისო და ეესე ანდრონიკაშვილს არა ჭნებავსო.—კიდეკაც რომ მოხდეს ამ გვარი კეითხვა, კიდეკაც დავთანხმდები, კენჭზედ და უკენჭობაზედ კი არას დროს,—სწორეთ იმ მიზეზით, რაც თქვენს შორს მჭვრეტელობასა ჭმხიდებია: იქნება მაშინ მოგვასერხო როგორმე ისეთი წესის ჩამოგდება, რომ საქმე პატრონს ვერ იცნობოს, არ ითქმოდეს.

2. თუ ჩვენში სახელ განთქმული კომიტეტის განაწეკარ კომმისიას ჩემი «ძვირფასი» აზრი არ მოვახსენე,—საზოგადოებას მაინც რას ემართლებითო, რომ ბძანებთ,—ამ თქვენს ბძანებას რომ რიგიანად დაუფიქრდეთ, დარწმუნებული ვარ, რომ აღარა ეითხოვდით.

ჩემი კრიტიკა ახლანდელი ბანკისა და იმის გამგეობისათვის სრულიად არაფერში არ იქნება გამოსადეგი; საზოგადოებისათვის კი იქნება გამოდგეს და მოგვახსენებ კიდეც; მაგრამ არა იმ საზოგადოებას, რომელიც განაგებს ახლა ბანკსა,—იმ საზოგადოებას, რომელმაც დააარსა, რომელსაც ეკუთვნის და რომელიც, თუ სამართალი არის სადმე, უნდა განაგებდესა.

თქვენი გაზეთი, რომ მიმახნდეს ამ საზოგადოების წარმომადგენელად, თქვენ მოგახსენებდით; მაგრამ არც თქვენი გაზეთი მიმახნია, არც გამგეობა ახლანდელი, არც იმაზედ მიჩენილი ზედამხედველი კომიტეტი, და არც ამ კომიტეტის განაყოფი სამთა კომმისია,—ამ საზოგადოების წარმომადგენელად. ამ საზოგადოების ჩვენებური სახელი არის თავად-აზნაურობა.

საქვეყნო საქმისათვის რომ გული არ მეწვოდეს, გაგიჩუმდებოდით, მაგრამ ვეღარ გაგიჩუმდით და იქნება თქვენი ჭეა-ქუხილიც ავიტანო როგორმე.

იმედი მექნება თქვენს მოვალეობას არა უგულებელს ჭეოფთ და სიტყვის გამოუკლებლად დაჭებეჭდავთ ამ ჩემ წერილს თქვენსავე «დროებაში».

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი გულითადი პატივისმცემელი

დიმიტრი ყიფიანი.

1883 წ. 26-ს ივნისს.
ს. ქვეშხეთი.

ვბეჭდავთ, რასაკვირველია, შეუცვლელად ბ. დ. ყიფიანის წერილს მით უმეტესის სიამოვნებით, რომ ამ წერილს ეტყობა,—მისი ავტორი ახლო უნდა იცნობდეს მოღიერს და სხვა გამოჩენილ კომიკურ ავტორებს. სტენა მართლა რომ ჩინებულია, ბ. დ. ყიფიანის ოჯასისა და სვიმონას შუა, მაგრამ ერთი რამ ნაკლულევანება ეტყობა, რომელიც მოწყობით უნდა მოვაგონოთ ბ. დ. ყიფიანს. ეს სტენა არ არის პასუხი იმ წერილისა, რომელიც ჩვენ დაბეჭდეთ ჩვენს გაზეთში. ჩვენ გვაკვირვებდა ის გარემოება, რომ ბ. დიმ. ყიფიანი დასთანხმდა ბანკის თავსმჯდომარეობაზედ კენჭი ეყარა და არ დასთანხმდა კომისიაში მონაწილეობა მიეღო—გვაკვირვებდა და კიდეკაც გვაკვირვებს, რადგან ჩვენის გაკვირვების პასუხი წერილში ვერ ამოვიკითხეთ.

ჩვენ უმორჩილესად ვთხოვდით ბ. დ. ყიფიანს ბანკის წესდება სხვა გზით მაინც გაერჩია, თუ კომისიას პასუხის ღირსად არა სცნობდა და ბ. დიმ. ყიფიანი გეიპასუხებს, რომ მე არავინ არ მიმახნია ღირსად ჩემის კრიტიკის მოსმენისა, არც თქვენი გაზეთი (ჩვენი გაზეთი რა შუაშია, ვერ გავიგეთ), არც ბანკის გამგეობა, არც ზედამხედველი კომიტეტი, არც სამთა კომისია; ღირსად მიმახნია მხოლოდ თავად-აზნაურობაო. ჩვენ კიდეკ კაცსადებთ შიშს, კაი-

---

იტენენ ჯიბეებს მუქთის ფულებით და კიდევაც ჩივიან, რომ მართებლობა არ ეშველებათ და აქაურები სჩაგრავენ...

ამ ღვთისგან ნაკურთხ ალაგების გარდა, კავკასიაში არის კიდევ ერთი პატარა კუნჭული, რომლის მდგომარეობაც აქამდე ყველასთვის გაუგებელია და მე როგორღა გავიგებდი, შემთხვევით მივარდნილი კაცი, ამბობს უსპენსკი. მე მოგახსენებთ ბათუმზედ. რა არის ბათუმი? ბათუმი არის პორტო-ფრანკო, რუსეთის პორტო-ფრანკო? აი ეს აქამდე არავინ არ იცის და ვერც მალე შეიტყობს. დავუთმოთ კალამი თითონ ბლებ უსპენსკის.

„რუსეთის რომელიმე ქალაქში, რომ რისმე სყიდვა მოვინდომო, გავსწევ რომელსამე დუქანში და ვეტყვი მედუქნეს: მომეცი ჩითი, ღვინო, ან თამბაქო“. მაშინვე ყველაფერს გადმომიწყობენ, ქალალდში შემიხვევენ, დავუთვლი ფულს და არხეინად შინისკენ გავსწევ. ბათუმში სულ სხვაა. ბათუმში რომ რამე იყიდო, ქალალდში არ გაგიხვევენ, როგორც სხვაგან; მეორე ოთახში გაგიყვანენ, ნაყიდს ფარჩას, ან ჩითს ზედ შემოგახვევენ და თან გეტუტუნებიან: «აქ უამისოდ არ შეიძლება, პორტო-ფრანკოა»! რაც უნდა შეეჭამო, ან დალიო ბათუმში, ყოველთვის ჰგრძნობ, რომ, თითქოს, რალაც დანაშაულობასა სჩადი, ვისმე სტაცებ. დაჭლევ, ვსთქვათ, ერთ სტაქანს ღვინოს და თანა ჰფიქრობ: «ეხლა ხომ აქციზის წესდება დავარღვიე და მართებლობა ამას არ მომიწონებს», ერთის სიტვით, ბათუმში შეხვალ თუ არა, თითქოს მაშინვე ქურდად გარდაიქცევი. ახლა ბათუმიდამ გასვლა და დამოჭნის ჩინოვნიკების ახლო გავლა, ხომ ერთი აუტანელი ტანჯვაა. თუ რამე მიგაქვს, ყველა მოპარულივით არის, მაგრამ თავს იკატუნებ, შორს გაიცქირები, ვითომც გულშიაც არაფერი გაქვს და ზღვის სანახაობითა სტკბები. ზოგიერთს რომ დააცქერდე, აქლემივით დატვირთული მიდის გემისკენ და სახეზედ რომ შეხედონ კი, ასე გეგონება, რომ ვითომც მართლა ერთგული ქვეშევრდომი იყოს და აქციზის წესდება არ დაერღვიოს. ესეთია ბათუმი: შედიხარ, როგორც პატიოსანი კაცი და გამოდიხარ ქურდი. ვის რად უნდა ამისთანა ქალაქები, ეს მე არ ვიცი, დიპლომატებსა ჰკითხეთ»...

აი კიდევ დიალოგის (ორის ლაპარაკი) ნიმუში, რომელიც მოჰხდომია უსპენსკის ერთის სასტუმროს პატრონთან.

— თქვენ რომ კარაქს მიირთმევთ, ეგ მარსელიდამ არის მოტანილი, ეუბნება სასტუმროს პატრონი.

— როგორ თუ?

— ისე, რომ გარშემო მცხოვრებნი სულ გაიქცნენ და აქ აღარაფერი იშოვება. ვილა დადგებოდა, რაც პორტო-ფრანკო დააწესეს. წინად ყველაფეს მოუტანდენ, გაჰყიდიდენ და რაც საშინაოდ უნდოდათ იყიდიდენ;—ხმის გამცემი არავინ იყო. ეხლა ქალებსაც კი ატიტვლებენ დამოჭნის ყარაულები და თუ რამე საშინაოდ ნაყიდი უპოვეს, არამც თუ წაართმევენ, ბევრსაც მიარტყმენ... აი ეხლა უნდათ ეს ალაგები ისევ დაასახლონ, დაუმატა სასტუმროს პატრონმა.

— ვის უპირებენ გადმოსახლებას?

— ბერძნები უნდა მოიწვიონ ხიოსის კუნძულიდამ.

— ხიოსელს ბერძნებს აქ რა ხელი აქვთ?

— მიწის ძვრა იყო იქ და ვეღარ დამდგარან.

— მიწის ძვრა განა ყაეკასიაში და რუსეთში კი არ არის ხოლმე? მიწის მუშტარი ჩვენშიაც ბევრია.

— დიალ, ქართველები და მეგრელები კი უფრო შეეწყობიან აქაურს ალაგებს. რუსები—ნამეტნავად მთაში, ვერ გასძლებენ. მთებს ათის და ასის წლობით უნდა შეჩვევა. მაგრამ ისევ ძველი, აქაური ბინადრები სჯობია. ყიდეც დაბრუნდენ უწინელი მოსახლენი—მუხა ჯირები.

— სად არიან?

— არ ვიცი, ღმერთმანი! სადღაც გაჰქრენ.

— არ ითხოვებს ისევ ძველ ალაგებზედ დასახლება?

— ბევრი ითხოვეს, მაგრამ, მგონია, არაფერი გამოვიდა...

ყიდევ ბევრს რასმე საინტერესოს მოგვითხრობს ბათუმის ცდოვრებიდამ ბ. ბლებ უსპენსკი, მაგრამ უალაგობისა გამო ამითი უნდა გავათავოთ.

თუ ბატონმა უოთეინმა კერ იპოვოს ღონის-ძიება თავად-აზნაურობას შეატყობინოს თავის (კიდეკ კიმეორებთ) ძვირფასი აზრები და ბოლოს ოსვრით წარმოგვთქმეინოს:—ეჭ, ბ. დიმიტრი უოთეინს რომ თავისი აზრი ჩვენთვის შეეტყობინებინა, მაშინ ჩვენი საქმე სულ სხვაფრივ წავიდოდა, მაგრამ «კაი მთქმელს კაი გამგონი უნდა» და უბედურება ეს არის «კაი გამგონი» არსად არ აღმოჩნდა!

რაც შეეხება ბანკის გამგეობის სვიმონასთან შედარებას, რომელიც, რომ არ მომკვდარიყო, ბ. უოთეინის ოჯახს «სარჩო-ღა შერჩებოდა, თუ არა, არ კინ იცის»,—ამას ზდილობისა და ლიტერატურის წესის წინააღმდეგს დაკუმსებდით,—რომ ეს სტენა სასტენოდ დაწერილი არ იყოს და დიმიტრი უოთეინის კალამს არ ეკუთვნოდეს.

რედ.

განცხადებანი

—

უმთავრესი კანტორა ა. ზ. ტერბარსიღოვისა ბაქოში ამით ატყობინებს საყოველთაოდ, რომ გარდა იმ განყოფილებებისა და სააგენტოებისა, რომელიც აქეს კავკასიის, რუსეთის, სპარსეთის და ევროპის დიდ ქალაქებში, კიდევ გაიხსნა ერთი განყოფილება ნიჟეგოროდის იარმუკაზედ, მექუდეების რიგზედ, ლიტ. მ. № 5 და კისრულობს ყველა ნაირი საქონლის გაგზავნას იმ ადგილებში, სადაც თავის აგენტები ჰყავს და განყოფილება აქვს. კანტორას შეუძლიან აგრეთვე კმისაით იყიდოს და გაყიდოს საქონელი. (2—1)

ფოთი

მეორე გილდიის მოვაჭრე

მოსე დავითის-ძე

კ ა კ ა ბ ა ძ ე

ვაცნობებ პატივცემულ საზოგადოებას, რომელთაც დღემდინ ჩემთან კამისიით საქმე ჰქონიათ დაჭერილი საქონლის გაგზავნ-გამოგზავნის, ყიდვის და გაყიდვისაზედ და ან აწ აპირებდეს საქმის დაჭერას, უმორჩილესად ვსთხოვ, რადგან ამ მდგომარე 1883 წელში შემთხვევით ბათუმში არ გარდავდივარ, ისევ ფოთში მომმართონ.

(3—2) მ. დ. კაკაბაძე.

დაიბეჭდა და იყიდება ქართულს ენაზე რვადენიმე ქადაგებანი, განსვენებულს არხიეპისკოპოსი ხერსონისა და თავრიზისა ფრიად საჭირო და სასარგებლო მოძღვრებთ პირთათვის. (3—2)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | |